

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39
2013 წლის 29 ნოემბერი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის № 21/1
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 31/12/2012, სარეგ. კოდი 190020020.35.157.016104) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	4,935.1	6,900.5	2,192.5	4,708.0	8,751.8	3,756.9	4,994.9	5,030.0	5,345.0	5,825.0
გადასახადები	847.2	1,079.6	0.0	1,079.6	1,500.2	0.0	1,500.2	600.0	809.0	835.0
გრანტები	3,805.3	5,551.5	2,192.5	3,359.0	6,869.7	3,756.9	3,112.8	4,225.0	4,350.0	4,790.0
სხვა შემოსავლები	282.6	269.4	0.0	269.4	381.9	0.0	381.9	205.0	186.0	200.0
ხარჯები	2,907.1	4,652.8	215.4	4,437.4	5,485.8	935.0	4,550.8	4,850.0	4,267.1	4,472.2
შრომის ანაზღაურება	805.8	1,246.5	52.3	1,194.2	1,730.4	66.5	1,663.9	1,587.9	1,492.3	1,492.3
საქონელი და მომსახურება	852.3	1,092.9	43.2	1,049.7	2,218.2	758.1	1,460.1	1,504.3	1,531.0	1,612.1
სუბსიდიები	605.3	648.9	70.0	578.9	1,082.8	70.0	1,012.8	1,392.7	842.0	911.0
გრანტები	400.0	1,100.0	0.0	1,100.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	240.8	558.3	49.9	508.4	436.0	40.4	395.6	363.7	380.0	435.0
სხვა ხარჯები	2.9	6.2	0.0	6.2	18.4	0.0	18.4	1.4	21.8	21.8
საოპერაციო სალდო	2,028.0	2,247.7	1,977.1	270.6	3,266.0	2,821.9	444.1	180.0	1,077.9	1,352.8
არაფინანსური აქტივების										



ცვლილება	1,790.9	2,334.4	1,909.5	424.9	3,830.8	2,985.1	845.7	180.0	1,077.9	1,352.8
ზრდა	2,120.7	3,091.7	1,909.5	1,182.2	3,853.2	2,985.1	868.1	190.0	1,127.9	1,402.8
კლება	329.8	757.3	0.0	757.3	22.4	0.0	22.4	10.0	50.0	50.0
მთლიანი სალდო	237.1	-86.7	67.6	-154.3	-564.8	-163.2	-401.6	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	237.1	-86.7	67.6	-154.3	-564.8	-163.2	-401.6	0.0	0.0	0.0
ზრდა	237.1	67.6	67.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	154.3	0.0	154.3	564.8	163.2	401.6	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		მათ შორის			მათ შორის					
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	5,264.9	7,657.8	2,192.5	5,465.3	8,774.2	3,756.9	5,017.3	5,040.0	5,395.0	5,875.0
შემოსავლები	4,935.1	6,900.5	2,192.5	4,708.0	8,751.8	3,756.9	4,994.9	5,030.0	5,345.0	5,825.0
არაფინანსური აქტივების კლება	329.8	757.3	0.0	757.3	22.4	0.0	22.4	10.0	50.0	50.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	5,027.8	7,744.5	2,124.9	5,619.6	9,339.0	3,920.1	5,418.9	5,040.0	5,395.0	5,875.0
ხარჯები	2,907.1	4,652.8	215.4	4,437.4	5,485.8	935.0	4,550.8	4,850.0	4,267.1	4,472.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,120.7	3,091.7	1,909.5	1,182.2	3,853.2	2,985.1	868.1	190.0	1,127.9	1,402.8
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ვალდებულების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	237.1	-86.7	67.6	-154.3	-564.8	-163.2	-401.6	0.0	0.0	0.0

3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8751,8 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	4,935.1	6,900.5	2,192.5	4,708.0	8,751.8	3,756.9	4,994.9	5,030.0	5,345.0	5,825.0
გადასახადები	847.2	1,079.6	0.0	1,079.6	1,500.2	0.0	1,500.2	600.0	809.0	835.0
გრანტები	3,805.3	5,551.5	2,192.5	3,359.0	6,869.7	3,756.9	3,112.8	4,225.0	4,350.0	4,790.0
სხვა შემოსავლები	282.6	269.4	0.0	269.4	381.9	0.0	381.9	205.0	186.0	200.0

4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1500,2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	847.2	1,079.6	0.0	1,079.6	1,500.2	0.0	1,500.2	600.0	809.0	835.0
ქონების გადასახადი	847.2	1,079.6	0.0	1,079.6	1,500.2	0.0	1,500.2	600.0	809.0	835.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	160.3	239.8	0.0	239.8	418.0	0.0	418.0	190.0	220.0	230.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12.0	12.6	0.0	12.6	29.0	0.0	29.0	7.0	5.0	5.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	273.4	348.2	0.0	348.2	402.2	0.0	402.2	195.0	243.0	254.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	401.5	479.0	0.0	479.0	651.0	0.0	651.0	208.0	341.0	346.0



სხვა გადასახადები კონკრეტულად	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მექვეყნო მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 381,9 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
სხვა შემოსავლები	282.6	269.4	0.0	269.4	381.9	0.0	381.9	205.0	186.0	200.0
შემოსავლები საკუთრებიდან	180.3	134.5	0.0	134.5	220.0	0.0	220.0	100.0	80.0	94.0
პროცენტები	58.8	59.7	0.0	59.7	90.0	0.0	90.0	0.0	0.0	0.0
რენტა	121.5	74.8	0.0	74.8	130.0	0.0	130.0	100.0	80.0	94.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	112.8	74.8	0.0	74.8	100.0	0.0	100.0	70.0	80.0	94.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	8.7	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	13.5	49.1	0.0	49.1	10.2	0.0	10.2	15.0	25.0	26.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	13.5	49.1	0.0	49.1	10.2	0.0	10.2	15.0	25.0	26.0
სანებართვო მოსაკრებელი	4.9	17.4	0.0	17.4	6.0	0.0	6.0	10.0	18.0	18.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.4	0.0	0.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5.1	6.9	0.0	6.9	4.0	0.0	4.0	5.0	7.0	8.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	3.5	24.4	0.0	24.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	88.8	85.4	0.0	85.4	100.0	0.0	100.0	90.0	81.0	80.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0.4	0.0	0.4	51.7	0.0	51.7	0.0	0.0	0.0



6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5485,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	2,907.1	4,652.8	215.4	4,437.4	5,485.8	935.0	4,550.8	4,850.0	4,267.1	4,472.2
შრომის ანაზღაურება	805.8	1,246.5	52.3	1,194.2	1,730.4	66.5	1,663.9	1,587.9	1,492.3	1,492.3
საქონელი და მომსახურება	852.3	1,092.9	43.2	1,049.7	2,218.2	758.1	1,460.1	1,504.3	1,531.0	1,612.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	605.3	648.9	70.0	578.9	1,082.8	70.0	1,012.8	1,392.7	842.0	911.0
გრანტები	400.0	1,100.0	0.0	1,100.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	240.8	558.3	49.9	508.4	436.0	40.4	395.6	363.7	380.0	435.0
სხვა ხარჯები	2.9	6.2	0.0	6.2	18.4	0.0	18.4	1.4	21.8	21.8

7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3830,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 3853,2 ლარის ოდენობით

ორგ.კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	63.1	64.1	29.4	0.0	7.9	7.9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	403.6	78.5	56.9	0.0	0.0	100.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,652.7	2,939.9	3,766.9	190.0	1,020.0	1,244.9



04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0
05 00	კულტურა და სპორტი	0.0	9.2	0.0	0.0	0.0	50.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სულ		2,119.4	3,091.7	3,853.2	190.0	1,127.9	1,402.8

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 22,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	არაფინანსური აქტივების კლება	329.8	757.3	22.4	10.0	50.0	50.0
							პირითადი აქტივები	0.0	49.3	3.2	0.0	0.0	0.0
მატერიალური მარაგები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0							
ფასეულობები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0							
არაწარმოებული აქტივები	329.8	708.0	19.2	10.0	50.0	50.0							
მიწა	329.8	708.0	19.2	10.0	50.0	50.0							
სხვა ბუნებრივი აქტივები													

8. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,409.1	2,543.9	2,098.7	1,982.2	1,764.3	1,764.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,009.1	1,443.9	2,098.7	1,982.2	1,764.3	1,764.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,009.1	1,443.9	2,083.6	1,932.2	1,714.3	1,714.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	15.1	50.0	50.0	50.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	400.0	1,100.0	0.0	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	400.0	1,100.0	0.0	0.0	0.0	0.0



702	თავდაცვა	68.9	90.1	99.6	106.0	101.2	102.2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	663.4	397.0	500.9	355.5	439.1	539.1
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	72.2	79.5	5.3	0.0	60.0	60.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	591.2	317.5	495.6	355.5	379.1	479.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	631.6	1,363.0	2,851.3	134.9	359.9	514.9
7045	ტრანსპორტი	627.4	1,349.2	2,090.7	130.0	355.0	510.0
70451	სავაჭრომობილო ტრანსპორტი და გზები	627.4	1,291.3	2,090.7	130.0	355.0	510.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	57.9	0.0	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4.2	13.8	760.6	4.9	4.9	4.9
705	გარემოს დაცვა	298.3	374.2	1,297.2	415.0	503.5	568.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	286.8	351.1	401.5	410.0	498.0	558.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	11.5	23.1	2.0	5.0	5.5	10.5
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,074.6	1,513.5	1,042.0	378.8	850.0	934.9
7061	ბინათმშენებლობა	170.9	291.1	23.9	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	98.3	734.8	388.6	228.8	350.0	400.0
7064	გარე განათება	184.6	201.9	173.8	150.0	350.0	370.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	620.8	285.7	455.7	0.0	150.0	164.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	71.0	71.0	71.0	71.0	71.0	71.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	71.0	71.0	71.0	71.0	71.0	71.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	431.5	635.2	459.1	562.9	450.0	565.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	74.1	100.7	111.6	150.0	110.0	150.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	357.4	399.5	347.5	412.9	340.0	415.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	135.0	0.0	0.0	0.0	0.0
709	განათლება	111.7	153.8	349.2	620.0	416.0	320.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	111.7	153.8	349.2	620.0	416.0	320.0
710	სოციალური დაცვა	267.7	602.8	570.0	413.7	440.0	495.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35.3	175.2	285.0	115.0	120.0	150.0
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე						



71012	პირთა სოციალური დაცვა	35.3	175.2	285.0	115.0	120.0	150.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	43.0	54.3	94.0	94.7	70.0	80.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	120.3	297.2	70.0	70.0	120.0	135.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	43.5	33.3	81.0	84.0	70.0	70.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	25.6	42.8	40.0	50.0	60.0	60.0
	სულ	5,027.8	7,744.5	9,339.0	5,040.0	5,395.0	5,875.0

9. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 დეკემბრის №21/1 დადგენილების მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამით გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის, მუნიციპალური და სახელმწიფოებრივი შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფა, სახანძრო-სამაშველო სამსახურის სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა და თეთრიწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება.

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ბიუჯეტის ფარგლებში ერთჯერადად დაფინანსდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს 2012 წლის დეკემბრის თვის კომუნალური ხარჯები.

გ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.



ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

ბიუჯეტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 837.7 ათას ლარს დაემატოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის №569 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 1093.6 ლარი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 ივნისის №665 განკარგულებით გამოყოფილი 207.3 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს №1085 განკარგულებით გამოყოფილი 25.5 ლარი, აღნიშნული თანხა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1105 განკარგულებით შემცირდეს 163.0 ათასი ლარით, სულ განისაზღვროს 2001.1 ათასი ლარი, საიდანაც გზების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილი 1787.9 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- დაბა მანგლისში 9 ძმის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 182.3 ათასი ლარით.
- სოფელ ასურეთში შიდა ცენტრალური გზის რეაბილიტაცია -83.3 ათასი ლარით.
- სოფელ არდისუბნის მისასვლელი გზის მონაკვეთის მოასფალტება- 205.4 ათასი ლარით.
- ქ.თეთრიწყაროში ყაზბეგისა და ცხრა ძმის ქუჩის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები- 166.0 ათასი ლარით.
- სოფელ თონეთში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 279.3 ათასი ლარი.
- ქ.თეთრიწყაროში ბარათაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 62.0 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში 9 ძმის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 95.5 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში გარისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 176.6 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში დემეტრაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 159.3 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში ლესელიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 90.9 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში სამშვილდის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 135.0 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 95.0 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში სოფელ აბელიანის ცენტრალური გზის მოხრეშვის სამუშაოები 25.5 ათასი ლარი
- ხოლო, 31.8 ათასი ლარით დაფინანსდეს სოფელ თონეთში საავტომობილო გზის, ქ.თეთრიწყაროში: ბარათაშვილის, 9 ძმის, გარისის, დემეტრაშვილის, ლესელიძის, სამშვილდისა და თბილისის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გზების მოასფალტება, რეაბილიტაცია და ორმული შეკეთება, აგრეთვე არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მოსახლეობის მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 837.7 ათასი ლარს დაემატოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის №569 განკარგულებით გამოყოფილი 1093.6 ლარი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 ივნისის №665 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 207.4 ათასი ლარი, სულ განისაზღვროს 2138.7 ათასი ლარი, საიდანაც 213.2 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- სოფელ ღოუბნის, სოფელ დუმანისის, სოფელ ივანოვკის, სოფელ მარაბდის, სოფელ ქსოვრეთის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის, სოფელ სამღერეთის სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა 5.8 ათასი ლარი,
- სოფელ ღოუბნის სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები 38.6 ათასი ლარი
- სოფელ დუმანისის სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები 38.4 ათასი ლარი
- სოფელ სამღერეთის სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები 44.3 ათასი ლარი
- სოფელ ივანოვკის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 26.2 ათასი ლარი



- სოფელ მარაბდის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 30.8 ათასი ლარი
- სოფელ ქსოვრეთის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 29.1 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაცია და მათ მოვლა-შენახვას.

ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა - შენახვა.

ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება, ბუნკერების შექმნა.

ბ.ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 880.0 ათასი ლარი მიმართულ იქნეს 24-25 მარტის ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

გ. ა) სკვერებისა და ბაღების, კულტურისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობის სათათბირო ოთახის რეაბილიტაცია, თვითმმართველ ერთეულში საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების საფუძველზე ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები და 2013 წლის 23 მაისს მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული „სოფლის სახლებში“ განთავსებული „საზოგადოებრივი ცენტრების“ უზრუნველყოფის ხარჯები. სოფელ კოდაში და დაბა მანგლისში „სოფლის სახლებში“ უწყვეტი დენის უზრუნველსაყოფად (გენერატორების) საწვავისათვის (დიზელი) გამოიყოს 1.3 ათასი ლარი.

გ. ბ) ურბანული ტერიტორიის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება.

გ.გ) მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების - ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.



დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №25 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულების №39 დანართის შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ 665.8 ათას ლარს დაემატოს „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულების შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 664,5 ათასი ლარიდან დარჩენილი 24.9 ათასი ლარი, მასვე თანადაფინანსების სახით დაემატოს:

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 800.0 ათასი ლარიდან დარჩენილი 20.2 ათასი ლარი;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 მაისის №972 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 60.0 ათასი ლარიდან დარჩენილი 9.6 ათასი ლარი;
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/09 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 300.0 ათასი ლარიდან დარჩენილი 4.5 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით დაემატოს 14.5 ათასი ათასი ლარი, სულ განსაზღვროს 739.5 ათასი ლარი და დაფინანსდეს დანართი №1-ის შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოიყოს 15.0 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1316 განკარგულების საფუძველზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გადასახადისათვის გამოიყოს 1,2 ათასი ლარი.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში დაფინანსდება 13 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 510 -ზე მეტი ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

ბ) მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოფელ მაწევნიდან ჩხიკვთის საბაზო სკოლაში, სოფელ ტბისიდან, ფარცხისიდან, არდისუბნიდან ჯორჯიაშვილიდან - ბოგვის საჯარო სკოლაში; სოფელ ალგეთიდან ე.წ. „ნოვი სვეტი“-დან დ.მანგლისის ეკლესიის მიმდებარე დასახლებიდან - მანგლისის საჯარო სკოლაში; ქ.თეთრიწყაროს ნამტვრისის დასახლებიდან, გარისის ქუჩიდან და ვარხუნოს დასახლებიდან - თეთრიწყაროს № 1 და № 2 საჯარო სკოლებში; სოფელ ივანოვიკიდან -ირაგის საჯარო სკოლაში და სოფელ დაღეთიდან - სამშვილდის საჯარო სკოლაში, სულ 370 ზე მეტი მოსწავლის ყოველდღიური ტრანსპორტირების ხარჯები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს სპორტული სკოლა“, რომელიც აერთიანებს 11 სპორტულ სექციას და 200-მდე სპორტსმენს.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

